

კარგები

1918

45 46 57 63
3 3 3

no. 285



F13-

1918

საქართველოს პარლამენტი

სტენოგრაფიული ანგარიში

45 ს ს დ რ ა ბ

სამშაბათი, ოქტომბრის 8, 1918 წ. ცეილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე.

მდივნობს საქართველოს პარლამენტის მდივანი დ. ონიაშვილი.

პრეზიდიუმში არიან თავმჯდომარის ამხანაგი: იქეს ბარათაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი და მდივნის ამხანაგი ი. აბაკელია.

კრება ისსწება ნაშუადღევის 1 საათის და 50 წუთზე.

თავმჯდომარე, კრება გახსნილი გახლავთ. (მიმართავს მდივანს) გთხოვთ წაიკითხოთ დღიური წესრიგი.

მდივანი. (კითხულობს).

კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტების სია.

1. მიწადომელების მინისტრის კანონ-პროექტი აგრარულ რეფორმის გარანტისათვის საჭირო სტატისტიკის მოწყობის შესახებ.
2. მიწადომელების მინისტრის კანონ-პროექტი 61.500 გ. გადადების შესახებ სამკურნალო წყლების სახელმწიფოს განკარგულებაში მიღებისათვის.

გადაეცეს აგრარულ და საფინანსო კომისიას.

3. სამხედრო მინისტრის კანონ-პროექტი საგანგებო სამხედრო სასამართლოს დაასევდის შესახებ.

გადაეცეს საშედრო და იურიდიულ კომისიას.

დღიური წესრიგი.

1. საბოლოო ტექსტი კანონისა ეროვნულ საბჭოს სახელშოდების შეცვლისა.
2. საბოლოო ტექსტი კანონისა 1909 წ. მარტის 18-ს კანონით დანაშმულ პენიათა და შემწეობათა გაუქმდისა. მომხსენებელი შალვა ამინისტრი.
3. კანონ-პროექტი ისტრიუმის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დარსების შესახებ.

შომხსენებელი არიან შელიცონ ჩუსია და პეტრე ქვეთარაძე.

4. ჭანის-პროექტი კანონთა გამოქვეყნებისა.

შომხსენებელია იესე ბარათაშვილი.

5. ჭანის-პროექტი ათი მილიონის ფონდიდან გაწეულ ხარჯების დამტკიცებისა და ამ ფონდის აღდგენის შესახებ.

შომხსენებელია დიომიდე თოფურიძე.

6. სარეგდამენტო კომისიის მოხსენება ეროვნულ საბჭოში უმცირეს სობათა ქნის ხელმისამართის შესახებ.

შომხსენებელი არიან ა. ჯაჯანაშვილი და რ. არსენიძე.

პარლამენტი უცვლელად ამტკიცებს დღიურ წესრიგს.

საბოლოო ტექსტი ეროვნულ საბჭოს სახელ-წოდების შეცვლის კანონისა.

თავმჯდომარე. შალვა ამირეჯიბი.

შალვა ამირეჯიბი. (კითხულობს) დებულება საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელშოდების შეცვლისა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ეწოდოს „საქართველოს პარლამენტი“.

დებულება უცვლელად არის მიღებული.

საბოლოო ტექსტი 1909 წ. მარტის 18-ს კანონით დანიშნულ პენსიისათვის და შემწეობათა გაუქმდების კანონისა.

შალვა ამირეჯიბი (კითხულობს). კანონი 1909 წლის მარტის 18-ს კანონის (პენსიით და ერთდროულ შემწეობათა) გაუქმდებისა.

მუხლი 1. გაუქმდებულ იქნეს პენსიათა და ერთდროულ შემწეობათა წესდების (კანონი დებ. ტომ. III), განკუთილება (V) შესახებ პენსიის და შემწეობის დანიშნისა იმ პირთათვის და მათი ოჯახებისათვის, რომელიც დაზირალდნენ პოლიტიკურის მიზნით ჩადენილ ბოროტმოქმედებისაგან. (მუხ. 743—762),

(კითხულობს):

უცვლელად გახლავს მიღებული გარდა ამ სიტყვისა გაუქმდებულ იქნეს.

საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში იყო ნახმარი ბოლოში და, სარედკურო კომისიის მიერ მიღებულ ტექსტში კი არის ნახმარი თავში.

მეორე მუხლი უცვლელად არის მიღებული.

მესამე მუხლი. ეს მუხლიც უცვლელად არის მიღებული.

პარლამენტი უცვლელად ამტკიცებს სარედკურო კომისიის მიერ შესწორებულ ტექსტს კანონისას.

კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დარხების შესახებ.

თავმჯდომარე. შემდეგ კანონ-პროექტის შესახებ. შომხსენებელი გახლავთ პარლამენტის წევრი მელიტონ რუსია.

შელიცონ რუსია. (ს. დემ.) ჩეენს ნორქ საქანონმდებლო დაწესებულებას, ჩეენს პარლამენტს უხდება მუშაობა, საკანონმდებლო მუშა-

ობა იმ ისტორიულ ხანაში, როდესაც ინგრევა ძველი ცხოვრება და შენდება ახალი ცხოვრება. და იმ ახალ ცხოვრების შექმნა ას მეტ-ლის ნგრევა ხდება ისეთ სისტაფით, რომ ჩვენ კანონმდებლობის ღოოს შეტაც ძნელ მდგომარეობაში ვვარდებით. როდესაც ჩვენ გადავსცამთ კანონმდებლობით ნაბიჯს ცხოვრების რომელიმე ერთ ერთ დარგში, შემდეგ ჩვენ გვიხდება გადასვლა სულ სხვა დარგში. დღეს რომ ვიმუშ-შვერთ კანონპროექტს ცხოვრების ერთი დარგისას, მეორე დღეს გა-დავლივართ სულ სხვა საქმეშე. მმ ვართ ჩვენი საქანონმდებლო მუშა-ობა ძალიან აჭრელებულია. ამიტომ ჩვენ როდესაც უკვე შევიმუშვერთ კანონები. როდესაც უკვე დრო არის რომ ჩვენი ნამუშავარის ერთ ვა-რი შოტესრიგება უკვე დავიწყოთ, საჭირო არის რომ შეიქმნას ორგანო, რომელიც შეკრებს ჩვენს ნამუშევარს, იმ კანონებს, რომელიც ჩვენ მივიღეთ. ყველა იმ კანონებს, რომელიც თავის დროზე იყო დაბეჭდი-ლი „რესპუბლიკაში“, მაგრამ რომელიც გაფანტულია ისე, რომ თვი-თეულმა კანონმდებლმა რომ მოიხდომოს უნდა ეძიოს ეს კანონი ხან-დისხან საათობით კიარა დღეობითაც. ეს კანონები გაფანტულია სულ სხვა და სხვა ნომრებში. არის ცხოვრების ერთ დარგზე დაბეჭდილი კანო-ნი, მერე შემდეგ დაბეჭდილი კანონი სულ სხვა დარგს ეხება. ამიტომ დრო არის, ყველა ეს გაფანტული, გამოქვეყნებული კანონები შეიკრი-ბოს, მაგრამ მარტო შეკრეფა არ არის საქმარისი. შეიძლება ყველა ის კანონი რომელიც თავის დროზე იყო დაბეჭდილი „საქართველოს რეს-პუბლიკაში“ ყველა ის კანონი დაიბეჭდოს ერთ ბროშიურაში. იმ წეს-რიგით, რომელითაც იყო დაბეჭდილი, და გამოიცეს. თავისთავათ ცხა-დი, ამარტო შეკრეფა და გამოცემა არ არის საქმარისი. საჭიროა ყველა იმ შეკრებულ კანონების შეთანხმება, რომ ვიყოდეთ რომელი კანონი რომელ კანონთანაა მოთავსებული, რომელ კანონთან არის შეთანხმე-ბული, და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლიან ჩვენ კანონებით ვიხელ-მძღვანელოთ.

თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე კანონი, როდესაც იმას იღებს ჩვენი პარლამენტი, თავის დროზე უნდა გამოქვეყნდეს; მაგრამ არ ემართ ცალკე კანონის ყოველ-დღიურ „რესპუბლიკაში გა-მოქვეყნება“, ეს არ არის საქმარისი. როდესაც მასალა დამზადებულია შეგროვილი, შეთანხმებულია და ერთვარ წესრიგში მოყანილი, აი მაშინ ყველა ეს გამოქვეყნებული იქნება. მაგრამ ვინ უნდა ქნას ყვე-ლა ეს?

ჩვენ ყველანი თანახმა ვართ, რომ ყველა ეს საჭირო არის, საჭი-რო არის ასეთი შეკრება, ერთ გვარ წესრიგში მოყვანა და გამოქვეყ-ნება. მერე ვინ უნდა ქნას ეს? და იმ სწორედ კანონ-პროექტი, რო-მელიც წარმოდგენილია იურიდიულ კომისიის მიერ ამას ავალებს იუს-ტიციის სამინისტროს. ჩვენ ვიცით რომ დღეს იუსტიციის სამინისტ-როს სათავეში ჰყავს სამი მინისტრი, არიან სპეციალისტები, იურის-კონსულტები (ხმა: სამი მინისტრი?) უკაცრავად ერთი მინისტრი შეი-წეო მისი თანაშემწერ ამხანაგი, და მას ჰყავს ამ დარგის სპეციალისტები, იურისკონსულტები, და ჩვენ ვვონია ეს არ გამოიცვეს ბევრს ხარჯს რადგანიაც უკვე არის ან იქ სპეციალისტები, მცოდნე ხალხი და ყველა ამას შეისრულებს ისეთი განცხოვილება, საკოდიფიკაციო, რომელსაც მიზნად ექნება შეთანხმება მოგროვება, მოწესრიგება და გამოქვეყნება. ეს უნდა დაევალოს ამ სამინისტროს.

როდესაც ეს კანონ-პროექტი გადავიდა საბიუღჯეტო-საფინანსო კომისიაში იმ კომისიაშ უარყო ეს კანონ-პროექტი პრინციპიალური მოსაზრებით. კომისიამ დაადგინა, ვინაიდან პრინციპიალურად კანონ-პროექტი შეუწყნარებელია, ეს კანონ-პროექტი იქნეს უარყო ფილიო. მოსაზრება ამ კომისიისა შემდეგი არის: ამ კომისიის წევრებმა, მაგალითად ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ეს საშიში საქმე არის. მას ეს საკოდიფიკაციო განყოფილება მიაჩინა—სენატად, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა კანონის გამოქვეყნების უფლება. და შეეძლო კანონი ეცნო შეუსაბამოდ და არ გამოქვეყნებინა. ვაი თუ ჩეკენ ისე მოგვიყიდეს, და ვაი თუ ამ საკოდიფიკაციო განყოფილებამ სოჭეს, რომ კანონი მიღებული პარლამენტის მიერ არ შეესაბამება ძირითად კანონებს და არ გამოქვეყნოს.

მე მგონი, ეს უბრალო გაუგებრობაა. საქმე იმაშია, რომ კანონ-პროექტში ჩვენ ვამბობთ, დროებით გამოქვეყნება მასალისა, ეს არ არის კანონების გამოქვეყნება, ეს სულ სხვა არის. კანონი გვაქვს რასაკვირველია, როდესაც იმას იღებს პარლამენტი და ქვეყნდება ოფიციოზში გაზრდა „რესპუბლიკაში“. და ჩვენ ვლაპარაკობთ ამ გამოქვეყნებაზე კი არა. როდესაც ყველა ესმასალა მოვროვილია, როდესაც მასალა იქნება წესრიგში მოყვანილი, შეთანხმებული ყველა ეს შემდეგ იქნება გამოქვეყნებული. ამიტომ ბატონ ლორთქიფანიძეს და საფინანსო კომისიის შიში, ვაი თუ პარლამენტს მოუწდეს მოლოს დროს ამ საკანონმდებლო დაწესებულებასთან ბრძოლას, — ეს არის უბრალო გაუგებრობა, ეინაიდნ არავითარი უფლება კანონების გამოცემისა, ან არ გამოცემისა, და თავის Veto-სი თავის თავად ცხადია ამ დაწესებულებას არ ექნება. ეს მხოლოდ გამოქვეყნება უკვე გამოქვეყნებულ, ძალაში შესულ კანონებისა—როდესაც შეგროვდება მასალა წელიწადში ორჯერ სამჯერ შემუშავდება და შემდეგ გამოქვეყნდება. ამიტომ, თუ საფინანსო კომისიას ჰქონდა ეს აზრი, ეს შიში—ეს ყოვლად უსაფუძვლოა. ეს არ არის მოსაყვანი, ეს შიში არის ყოვლად უსაფუძვლო. შემდეგ, რასაკვირველია, სენატს ჰქონდა უფლება, მას შეეძლო განმარტება კანონისა, მაგრამ ჩვენ კანონ-პროექტში არც განმარტება, არც სხვა ამნაირი ლაპარაკი არ არის. ამ კანონ-პროექტში მარტო სამგავარი მუშაობა არის—უნდა შეგროვოს მასალა, ამის საწინააღმდეგოს ვერავინ ვერაფერს იტყვის, შეგროვილი მასალა შეათანხმოს, რომელი კანონი რომელ კანონთან უნდა იყოს, რომელ დარგში კანონი უნდა იყოს, რადგან არის სხვა და სხვა გვარი კანონები. მაგლითად: სისხლის სამართლის კანონი, და ეს უნდა გადაიტანოს თავის დარგში, უნდა მოთავსდეს იქ. ამიტომ, ჩვენ გვვინია, რომ ამ კანონ-პროექტის ძალით არც სენატის უფლება აქვს საკოდიფიკაციო უწყებას, არც ასენა შეუძლიან კანონებისა, არც მისი გამოცემა, და არც არ გამოცემის უფლება. ამიტომ მე მგონია, რომ ამ დაწესებულების შედარება რუსეთის სენატთან ყოვლად დაუშებელია. ის სულ სხვა იყო, ეს სულ სხვა არის. სწორედ ამიტომ, ბატონ ჰეტრე ქავთარაძის აზრი, რომ ეს დაწესებულება ჩამოძაგვს იმ დაწესებულებას; რომ მისი ფუნქციები არის იგივე, რა ფუნქციებიც ჰქონდა სენატსა დასახელმწიფო საბჭოს,—არ არის სწორე.

ამ მოსაზრებას ემატება აგრეთვე ფინანსური მოსაზრება. ამბობენ, რომ შეექმნათ ჩვენ ცალკე დაწესებულება, ცალკე დამოუკიდებელი დაწესებულება. ეს გამოიწევეს დიდ ხარჯს. თქვენ იცით რა ლირს თვით მისამახურეს შენახვა. აქ დაუმატეთ, რომ ისინი იქნებიან სპე-

კიალისტები, და სპეციალისტები მოითხოვენ დად ხარჯს. მაგრამ ეს ასე არ არის, რადგანაც არიან სპეციალისტები შემცირები, არიან იურისტებისულტები, ამიტომ აქ შევვიძლიან ერთი საქმის მწარმოებელის დაჭერა, და ორი თანაშემწე იქნება, კორექტორი, ექსპედიტორი, სურ ეს გამოიწვევს 22000 მან. ხარჯს. ეს დამატებითი ხარჯები რომ ჩვენ შევვმთა დამოუკიდებელ ცალკე დაწესებულებაში, ეს გამოიწვევს ასი ათას მ. ხარჯს ყოველ წლიურად. ჩვენ გვინდა დროებით, სანამ არ შეიქმნა უმაღლესი სასამართლო რესპუბლიკაში, უმაღლესი საკასაციო დაწესებულება. მაშინ, როდესაც ჩვენ გვევწება ასეთი სპეციალური დაწესებულება, მაშინ შევვიძლიან ჩვენ კითხვა აღვძრაო რომ იქნება ეს-თი განყოფილება, რომელსაც ექნება სახეში უკვე წესრიგში მოყვანილ მასალების შეერთება.

აი ასეთი უმაღლეს საკანონდებლო დაწესებულება დღეს არ გვაქს და მიცდა ყოვლათ შეუძლებელია თვითეულმა თქვენგანმა გამოცდით იცის რომ ეს ყოვლად შეუძლებელია. თვითეულმა გამოცდით იცის, რომ ჩვენ არ შევვიძლიან გავარკვით, არამც თუ უბრალო მოქალაქემ, თითონ კანონდებლებმა არ ვიცით, რა გამოვეცით, რა გვაქვს, რითი ვიხელმძღვანელოთ. რაც შეეხება მოქალაქეს იმისი მდგომარეობა პირდაპირ წარმოუდგენელია, აუტინერია. მოქალაქემ არ იცის, როგორ უნდა იმოქმედოს, რითი უნდა იხელმძღვანელოს აგრეთვე აუტინერია მდგომარეობა სახელმწიფო დაწესებულებებისა, რადგანაც არ იციან რითი იხელმძღვანელონ. ყველა ამ მოსახრებით კომისიიმ წარმოვედგნა კანონპროექტი, რომელსაც თუ ნებას მომცემთ წავიკითხავთ მუხლობრივ. (კითხულობს).

კანონპროექტი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დარსების შესახებ.

§ 1. იუსტიციის სამინისტროსთან არსება საკოდიფიკაციო განყოფილება საკანონმდებლო მასალის და უმაღლესი მთავრობის ზოგადის ხასიათის განკარგულებათა შესაკრებად, შესათანახმებლად, წესრიგში მოსაყვანად და დროვამოშევებით გამოსაქეყნებლად.

§ 2. საკოდიფიკაციო განყოფილების მოწყობა და ხელმძღვანელობა დაევალოს იუსტიციის მინისტრს.

დამატებით არის წარმოდგენილი შტატებით თუ ნებას მომცემთ წავიკითხავ.

საქმის მწარმოებელი—1 7200 ა.

მისი თანაშემწე იგივე კორექტორი—2 12000 ა.

ექსპედიტორი—1 5400 ა.

სულ 24600 ა.

სტამბის და კანცელარიის დამა-

ტებით ხარჯათ წელიწადში 30,000 მან.

საერთოდ 54,600 მან.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთნის წარლამენტის წევრს ქადთარაძეს.

პეტრე ქავთარაძე. (ალ.) ბატონებო! საბიუჯეტო და საფინანსო კომისიამ განიხილა იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი და იურიდიულ კომისიის მიერ განხილული და მოწონებული კანონპროექტი, იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო დაწესებულების

დარსების შესახებ. კომისიაშ ამ პროექტის განხილვას რამდენიმე სხდომა მა მოანდომა და უკანასკნელ სხდომაზე ერთ ხმად დაადგინა: არენაზე დან კანონ-პროექტი შეუწყისრებელია, კომისიაშ შეუძლებელიად ცუნა რაიმე ხარჯის გაღება ამ კანონპროექტისათვის. რა მოსაზრება დაუდო საფუძვლად საფინანსო კომისიაშ ასეთს გადაწყვეტილებას? რასაკირველია, ეს არ იყო ხარჯის შიში, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ პრინციპიალური მოსაზრება.

განვიხილოთ რა აქვს მიზნად იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონს. ეს ცხადად ხსანს პირველ მუხლიდან: იუსტიციის სამინისტროსთან არსება საკოდიფიკაციო განყოფილება საკანონმდებლო მასალის და უმაღლეს მთავრობის ზოგადის ხსიათის განკარგულებათა შესაკრებად, წესრიგში მოსაყანად და დრო გმომშევით გამოსაქვეყნებლად. იმას ეძახის იუსტიციის სამინისტრო და პარლამენტის იურიდიული კომისია საკოდიფიკაციო განყოფილებას.

ბატონები, კოდიფიკაცია სრულიად ნათლათ გარკვეული მცნება არის. კოდიფიკაცია არის ერთ გვარი საკანონმდებლო მოღვაწეობა, რომელსაც მიზნად აქვს შეკრება, შეთანხმება, მოწესრიგება, სისტემატიურად გატარება და ზოგადი კანონმდებლობის სახით ჩამოყალიბება სახელმწიფოებრივ უფლებისა. და ამ გზით სწორეთ საკოდიფიკაციო მოღვაწეობა ჰქმნის, ეგრედ წოდებულ კოდიფიკაციურ კანონების კრებულს-ეს არის საკანონმდებლო მოღვაწეობა იმიტომ, რომ კანონდებულობის გზით მიმდინარეობს. აქ, ბოლოს და ბოლოს ამნაირ კანონდებლობას ყოველთვის სდევს ეგრედ წოდებული, უფლება წესრიგის და შესწორების გადაშინჯვისა და მათთან ერთად შეთანხმება კანონებისა ერთი ერთ მანეთთან საჭირო დამატებათა და დებულებათა შეტანა და გამორიცხვა იმისა, რაც საჭირო არ არის. და ამიტომ საკოდიფიკაციო მოღვაწეობის და საზოგადოდ კოდიფიკაციის ქძლევა საგანგებო საკანონდებლო მნიშვნელობა, გავლენა ქვეუნის სამართლები და უფლების განვითარების ისტორიაში. კოდიფიკაცია ამ განვითარების ისტორიაში ჰქმნის ახალ პრიორის ახალ ხანას განვითარებისას. და კოდიფიკაციის თვით გავლენას, თვით მნიშვნელობას ყველა ემორჩილება, იგი მოელი ქვეყნის იურიდიულ აზრის განვითარებაა და თქვენ ხედ ვთ, რა დიდი დანიშნულება ჰქონია კოდიფიკაციის. კოდიფიკაციის ყველგან სწორედ ეს აზრი ჰქონია და არა სხვა აზრი.

მასთან უნდა განვაცხადო კიდევ ერთი რამ: — კოდიფიკაცია, თუმცა აუცილებელია და სასურველი სახელმწიფოებრივობისთვის, მაგრამ იმავე დროს არის ერთი აუცილებელი დებულება იურიდიულ პრაკტიკების მიერ აღიარებული. ეს გახსავთ ის, რომ კოდიფიკაცია ყველა პირობებში და ყველა გარემოებებში სასურველი არ არის. ეს სასურველი არ არის მით უმეტეს, რომ სწორედ ასეთ გარდამავალ ხანაში, რომელშიაც დღეს ჩევნ ცენტრობათ და ჩევნს ქვეყანას უხდება ცენტრება, და როდესაც არ არის განმტკიცებული ახალი პირობები, ახალი წესწყობილება ახალი ურთიერთობა, — ახალი კანონები — ვერ გამოხატავენ საზოგადო ურთიერთობას.

გარდა ამისა, როგორც იყოთ თქვენ, და როგორც წარმოდგენილ მოსაზრებიდან ხსანს, იმისათვის, რომ საკოდიფიკაციო მოღვაწეობა სწარმოებდეს, რომ სახელმწიფომ აწარმოოს საკოდიფიკაციო მუშაობა, საჭიროა იყოს შესაფერი მასალა კოდიფიკაციისთვის, საჭიროა იყოს უფ-

ლების წყაროები, არსებობდეს მრავალი დაგროვილი იურიდიული მა-
სალა, რომ კანონდებლებში შესძლონ საკოდიტიკაციო სისტემით კო-
დექსების შექმნა დი შეტანა საკანონდებლო დაწესებულებაში. ჩეკში
ეს ყველა არ მოიპოვება. სულ სამი თვეეა, რაც არსებობს დამოუკიდე-
ბელი საქართველო, იქნება სულ ასი კანონი გამოვეცით და ეხლა გვი-
ნდა გამოვცეთ კანონი სამინისტროსთან საკოდიტიკაციო ნაწილის და-
არსების შესახებ, და მას მივანდოთ ისეთი საკანონდებლო მუშაობა,
რაც არ არსებობს არც ერთ სახელმწიფოში, რაც არც ერთ სახელ-
მწიფოს არ მიუნიდება.

აქ სენატზე ილაპარაკა პირველში მომხსენებელშია, არ ვიცი, მგონი
ის ოქმი საფინანსო-საბიჯდეფო კომისიის სხდომისა ჯერ დამტკიცე-
ბული არ არის, მაგრამ ამნიორი იჩევა იურიდიული აზრისა იმ საბიუ-
ჯეტო-საფინანსო კომისიის სხდომაზე არ ყოფილა. ჩევნ ვიცით რა გავ-
ლენა ჰქონდა სენატს, ამასთან ვიცით რა მნიშვნელობა ჰქონდა სენატს
და ისიც ვიცით, რომ სენატი იმავითარ მონაწილეობას საკანონმდებლო
მოღვაწეობაში არ იღებდა. სენატი, კონსეგნის გამოქვეყნების დროს,
მხოლოდ თვალ-ყურს აღვენებდა, რომ ესა, თუ ის კანონი არ ყოფი-
ლიყო წინააღმდეგი უკვე არსებულ და და გამოქვეყნებულ კანონებისა.
კოდიფიკაცია რესუფთში კა, რესეტში, როგორც უცხოეთში, შექმნილი
იყო ჯერ განსაკუთრებული საკოდიფიკაციო განყოფილ ბა, და არ მა-
სოდა იყო მეორე განყოფილებაც თუ არა. შემდეგ კი შექმნილი იყო
ეგრედ წოდებული, განსაკუთრებულ სტატუს-სეკრეტარიატის განყოფი-
ლება. ასე, რომ არსებოთად, კომისიის აზრი კევლა ამ მოსაზრებები-
დით მიუღებელია. ჩევნ რომ ეხლავე ხელი მიყვით კოდიფიკაციის ჯერ
ერთი, მისითვის არც დრო არის შესაფერი, არც საჭირო მასალა არის
შეგროვილი, არც უფლების და სამართლის წყაროები ვვაქს, რომლების
გადაუშინვეველად შეუძლებელია კოფიდიკაციის წარმოება. გარდა
მისა, საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის აზრით, ყოვლად შეუძლებელია,
რომ ასეთი მოღვაწეობა, ასეთი შესაბამის წარმოება მინდობი-
ლი ჰქონდეს ერთ რომელიმე უწყებას, თუგანდ იუსტიციის სამინისტროს.

თუ ეს მომავალში საჭირო იქნება, ამას პარლამენტი აღიარებს, ამისათვის ის შეტყმის სათანადო, ამა თუ იმ უწყებისაგან სრულიად დამოუკიდებელ დაწესებულებას და მაშინ არც ხარჯს დაიშურებს ამ შესანიშნავ საქმის დასავარგვინებლად. ახლა კი არც დროა, არც გარემოება და ყოვლად შეუძლებელია, რომ ერთს უწყებას, იუსტიციის სამინისტროს მიენდოს ისეთი საქმე, რომელიც უნდა აწარმოოს დამოუკიდებელმა დაწესებულებამ.

მაგრამ საჭიროო, აქ სოჭევეს, რომ ეს კანონები ჩვენს ოფიციალურ თრგანოში გამოქვეყნდეს, კანონები ერთად შევტოვდეს, რომ ყველა მოქალაქეს საშუალება ჸქონდეს გაეცნოს ამ კანონებს, რომელიც განეთის წომრებშიც გამოიული და მოქალაქეს არა აქვს საშუალება, რომ ნახოს. ამისთვის, ბატონებო, კოდიფიკაცია კი არ არის საჭირო, — ამას ინკორპორაციაც მშენებილი მიახწევს, ესე იგი, ამისთვის საჭიროა არსებული ფორმების შეკრება და მათი გამოცემა. მაგრამ, ბატონებო, შეცვლა ნორმებისა, შესწორება და დამატების შეტანა — ეს ყოვლად შეუწყნარებელია. თუ უნდა იუსტიციის მინისტრს, და ეს რასაკირველია სასურველია, ისეთი ინკორპორაცია შეიძლო მიმღვმელის სამიზნო ანთვის.

პოლექტი წმინდალგამის და შექმნა საინკორპირაციო განყოფილება. მაგრამ შეკრებილ და გამოქვეყნებულ ნორმების არსებითარ შექველა დამატებების შეტანა იმ ნორმებში, რომლებიც უკვე არსებორენ და მოქმედობის ჩვენ სახელმწიფოში—ყოვლად შეუძლებელია.

ამას ვერ მივანდობთ ვერც მინისტრს და ვერც სხვა რამებ უწყებას. ამიტომ საფინანსო—საბიუჯეტო კომისიის აზრით შეუწყნარებელია ამ კანონპროექტით საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსება. ამიტომ ჩვენ წინადადებას ვიძლევთ, რომ კანონპროექტიდან, თუ კი, მაინც და მაინც იგი მიღებული იქნება, გამორიცხული იქნეს შემდევი სიტყვები „შესათანხმებლათ და წესრიგში მოსაფანად“ რადგანაც ეს არის საკანონმდებლო საკოდიფიკაციო მოღვაწეობა, რომლისთვისაც იუსტიციის სამინისტრო სრულიად არ არის მოწოდებული.

გრიგოლ გველესიანი (იუსტიციის მინისტრის ამხანაგი). ბატონებო! ყველგან, სადაც კი ცოტად თუ ბევრად განვითარებული კანონმდებლობა არის, იქ ისეთი დაწესებულება არსებობს, რომელიც კრებს საკანონმდებლო მასალას, მოჰყავს ეს კანონები წესრიგში, ქმნის ერთნაირ კანონების სისტემატიზაციას, ზოგიერთ შემთხვევაში შეაქვს საჭირო ცვლილებები და დამატებები, ერთი სიტყვით ეწევა იმ მუშაობას რომელსაც ეძახიან კოდიფიკაციას.

რუსეთში არის ასეთი საკოდიფიკაციო განყოფილება, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ ნიკოლოზ პირსელის დროს, საკუთარი მეფეის კანცელარია ეწეოდა ამ მუშავებას. ხუთი წლის შემდეგ დაარსდა საკოდიფიკაციო განყოფილება, რომლის ნაცვლათ შემდეგში განჩდა სახელმწიფო საბჭოა, სახელმწიფო საბჭოს კანცელარია, ეგრედ წოდებული, კანონთა კრებულის განყოფილების გამეობა, სტატუს-სეკრეტორის ხელმძღვანელობით ასეთი დაწესებულების საჭიროება ჩვენში არის უკველად, მეტად უფრო ეხლა, როდესაც ახალ სახელმწიფოს საძირკველი ეყრდნობა, როდესაც ძევლი იმხობა და ნამეტურ იმ დროს, როდესაც ჩვენ რუსული კანონმდებლობა მივიღეთ, დროებით.

ამ რუსულ კანონმდებლობას, აუცილებლად ესაჭიროება გარდამნა, ზოგიერთ ცვლილების შეტანა და სხვა იმ გვარი მუშაობა. ვიტყვი იმასაც, რომ თვით საქართველოს კანონმდებლობას, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია არა აქვს ჯერ—ეს საქართველოს კანონმდებლობაც თხოვლობს ერთნაირ წესრიგში მოყვანას, ერთნაირ სისტემატიზაციას.

გარდა ამისა, რა თქმა უნდა, საქართველო ისიც, რომ კანონები ისტაბებოდეს ოფიციალურ გამოცემებში, კანონების და მთავრობის განკარგულების კრებულებში, იმ სახით, რა სახითაც ეს ხდებოდა მავალითად, რუსეთის სენატში.

ამ სწორედ, ვლებულობთ რა ამ საჭიროებას მხერველობაში, ჩვენ იუსტიციის სამინისტროს სახელით შემოვდივირთ საქართველოს პარლამენტში წინადადებით, რომ დაარსდეს იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილება, მეტად განსაზღვრულ, შეზღუდულ კონცენტრიკულით და მეტად შეზღუდულ მასშტაბით, ვიდრე რამე სათანადო დაწესებულება განჩდება—უმაღლეს სასამართლო იქნება ეს თუ სენატი იქნება რუსული ტიპის. მანამდის ასეთ განყოფილებას, რომლის შესახებ ჩვენ წინადადება შემოგვაჭვს, ჩვენ ვალით ყოველნაირ ასეთ საკოდიფიკაციო, საკანონმდებლო მუშაობას, რომელსაც

პუხლი ვა კონტინტი უცირქესობათა წარმომადგენელი, პრეზი-
დიურთან შეთანხმებით, აიტექენ სალაპარაკოდ ერთ-ერთს ენას რომე-
ლიც მიღებულია პარლამენტში.

მუხლი უცირქელად არის მიღებული.

მუხლი მე 4 (კითხულობს) უცირქესობის ენაზე წარმოსთქმულ
სიტყვის დედა აზრი გადაცემულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, თუ ამას
დეპუტატთა 15-ზე არა ნაკლები რიცხვი მოითხოვს. თარჯიმინების
შრატის შედეგნამდე, არაენთარ თარგმნას ადგილი არა აქვს. ქართუ-
ლიდან სხვა ენაზე სიტყვა არ ითარგმნება. ეროვნულ უცირქესობის
წარმომადგენელის მიერ წარმოსთქმული სიტყვა სხვა უცირქესობის
ენაზე არ ითარგმნება.”

ჩვენ შევასწორეთ „უცირქესობის ენაზე წარმოსთქმული სიტყვის
დედა აზრი გადმოღებულ უნდა იქნეს ქართულს ენაზედ, თუ ამას 15
დეპუტატზე არა ნაკლები მოითხოვს. თარჯიმინების შრატის შედეგნამ-
დე არაენთარ თარგმნას ადგილი არა აქვს. ქართულიდან სხვა ენაზედ
სიტყვა არ გადათარგმნება. ეროვნულ უცირქესობის წარმომადგენე-
ლის მიერ წარმოსთქმული სიტყვა სხვა უცირქესობის ენაზე არ გადა-
ითარგმნება.”

შე 5-ე მუხლი. წერილობითი წინადაღების, შესწორების და სხვა
შეტანა შეიძლება მხოლოდ ქართულს ენაზედ. პრეზიდიუმს უფლება
აქვს მოულოდნეულად შემთხვეული წინადაღების აზრი გადასცეს სხდომას
ერთ-ერთ უცირქესობის ენით.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნახევარია მრავლობითი
რიცხვი ჩვენ მხოლოდობითი რიცხვი ვიხმარეთ. სხვა ცვლილება არ
შეგვიძანია.

თავმჯდომარეობის შემდეგი კანონ პროკურორს მომსახურებული გახ-
ლივთ ნოე ცინცაძე

კანონპროექტი სახალხო სკოლების მასშტაბურებელთა ნივთიერ მდგო-
მარების გაუმჯობესების შესახებ.

ნოე ცინცაძე: (ს. დ.) ბატონები, და თუ დრო, როცა ჩვენმა პარ-
ლამენტმა და მთავრობამ განსაკუთრებულ უცირქება უნდა მიაქციოს
სახალხო განათლების ხაშეს; საყოველოთა საეკლეგის განათლება
შის დღიურ წესრიგში უნდა დაისვის.

მასთან ერთად უნდა განხორციელებული იქმნას ძირითადი რეფო-
რატი ჩვენი სკოლისა და რადიკალურად უნდა გადამტავებული იქმნას სამო-
წავლო გეშა. ერთი ხიტყვით სიტუაციები უნდა ჩიტყაროს ახლ სკოლის.

აღსანიშვნები ის ფაქტი, რომ სადაც კი შეიკრიბა სიცრობო კრე-
ბები უაღრესი ყურადღება მიუქცევები იმ საკითხებითი ამ
განათლების სამსიხთვის. ჩვენ დაწმუნებულნი ვირთ, რომ ადგილობ-
რივ ძალებთან ერთად მათი საშუალებით, ჩვენ შევძლებთ აღნიშნულ
რეფორმის გატარებას ცხოვრებაში. ჩვენ არ შევძლით თქვენი ყურა-
დღება არ მივაქციოთ იმ უმწერ, მეტად უნუგეში ნივთიერ მდგომა-
რების, რომელშიც ეხლა იმყოფებიან ჩვენი სახალხო სკოლების მას-
წავლებლები. მათ ეძლევათ ოციურად 210 მანეთი. ლაპარაკი ზედმეტია
იმაზე, რომ ეხლანდელი დროისთვის ეს ნორმა ჯამიგრისა მეტად მცი-

საქართველოს პარლამენტი. გაზ. „საქარ. რევ. დამატება № 7.

რე პის. ასეთი მიუჯერით უმოაფრის მოთხოვნილების და კმაყოფილება ეხლინდელი პირობებში, ასეთ სიძირის დროს, თავის თვალი უცხადებოდა, წარმოუდგენელია. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომელიც კური მდგომარეობა ჩვენი მასწავლებლებისა თუნავ მარც უზრუნველყოფილი იქნება.

რასაკეთი უზრუნველყოფა ეხლანდელ პირობებში უფრო დაბალი უზრუნველყოფა ჩვენი ფინანსების სიმკირის გამო. მაგრამ რაც დენარი შესაძლებელია ჩვენ თუნავ უნდა გაფაუმჯობესოდ მათი მდგომარეობა. და იმ ამიტომ განათლებისა და საბიუჯეტო კომისიის განხილება. რა ეს საკითხი გამოიტანეს დადგენილება, რომ სახალხო მისწავლებელთა ჯამაგირი გადიდებულ იქნას 200 მანეთიდან 400 მანეთამდე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომვალმა სახილმა განათლების საქმეში, ჩვენი რესპუბლიკა მეტ სიუკეს გამოიჩინს.

ეს დამატებითი ხარჯები, რომელიც გამოწვეულია, ჯამავირის, ასეთი გადიდებით წლის ბილიმთინ გვაძლევს საერთო ჯამს 27,100 მანებს იქნება ის დამატებითი ხარჯები, რომელსაც გამოწვევს ეს კანონ-პროექტი, მაგრამ საერთო ხარჯები მასწავლებლებისა თვიური მილიონზე აღის და ვაშასადამე წლიურად 13 მილიონამდის აღის. ამ ნაირათ შემუშავებული იყო კანონ-პროექტი, რომელსაც ეს მოვალეობებით.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა საზოგა თო კანონ-პროექტის შესახებ? არავის.

ვინ არის წინააღმდეგ, რომ მუხლობრივი განხილვაზე გადავიდეთ? არავინ?

გთხოვთ წაიკითხოთ პირები მუხლი.

მომხსენებელი ცინცაძე:

მუხლი I. (კიოხულობს). სახალხო სკოლის მ სწავლებელს დაწინაურობა ამ 1918 წლის სექტემბრის 1-დან წლის დამდევამდე გაესნას განათლების სამინისტროს სახელმწიფო ბანკიდან კურელი თრი მილ. სამოცდა თერთმეტი ათას შვიდას სამოცდის (2.071760 მ.)

თავმჯდომარე: ვის სურს სიტყვა? ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასათამე მაღლებულია. ეხლა საერთოდ უყო კენჭს კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი? ვინ არის მომხრე? მაშასათამე კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა კომისიის.

მომხსენებელი ცინცაძე:

მუხლი მე-2. (კიოხულობს): იმ კანონით გამოწვეული ხერჯის დასაფარავი ამ 1918 წლის სექტემბრის 1-დან წლის დამდევამდე გაესნას განათლების სამინისტროს სახელმწიფო ბანკიდან კურელი თრი მილ. სამოცდა თერთმეტი ათას შვიდას სამოცდის (2.071760 მ.)

თავმჯდომარე: ვის სურს სიტყვა? ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასათამე მაღლებულია. ეხლა საერთოდ უყო კენჭს კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი? ვინ არის მომხრე? მაშასათამე კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა კომისიის.

გთხოვთ შემდეგი კანონბრ-ოფეტი წაიკითხოთ.

კანონ პროექტი თვილისის უმაღლეს კურსებისათვის სახელმწიფო ხაზინიდან 50.000 მ. მიცემის შესახებ.

ნოე ცინცაძე. ბატონებო, ჯერ კიდევ შარშან თბილისის ქოლთა უმაღლეს კურსებმა, ამიერ კავკასიის კერძო უნივერსიტეტმა შეამდგომდობა მოწმა საგანგებო კამიტეტის წინაშე, რათა მას სხვა და სხვა მოთხოვნილების და ხარჯების დასაფრთხოებად მის კერძოდა სუბსილია 200,000

მანეთი, აღ. ამ ფულის ანგარიშზე ამიერ-კავკასიის კომისარიატის დროს
მიყცა აღნიშნულ კურსებს სუბსიდია 80,000 მ. შემდგომ, როცა გა-
მოცხადებული იქნა, საქართველოს დამოუკიდებლობა კურსების საბჭომ
და აგრძელვე სამსახურველთ კომისიამ ისვევ განვითარებით იღმრა შეუა-
დგომლობა, რომ მათ კიდევ დამატებითი მისცემოდა 150,000 მ. ას შეუა-
დგომლობა განხილული იქნა მთავრობის მიერ, შემდეგ განათლებისა
და საბიუჯეტო კომისიის მიერ დაგენტილება იქნა გამოტანილი, რათა
მიცეს სუბსიდიათ ამ კურსებს, ესე იგი ეხლანდელი კეორ უნივერსი-
ტეტ 50,000 მ. აი კანონპროექტი შემდეგი სახით არის წარმოდგე-
ნილი:

კანონპროექტი თბილისის უმაღლესს კურსებისათვის სახელმწი-
ფოს ხაზინიდან 50,000 მან. მიცემის შესახებ,

1. მიცეს ქილოტუბადლებს კურსებს ორმოცდა თეო-ათასი (500000)
სახელმწიფო ხაზინის თავისუფალ თხნიდან 1917—1918 სახწვლო
წლის ხარჯების გამსახურებლად

2. ეს კანონი შედის მაღამი დღიდან მიღებისა ეროვნულსაბჭოს მიერ,
თავმჯდომარე, ვის სურს, სიტუა? სრტუა, ჩეუოვნის პრეზიდენ-
ტის წერის აღექსანდრე წერეთვლის.

ა. წერეთვლი (ს. ფ.) ბატონჩებო! ერთი შეხვდვით ის, რაც აქ
მოვამინეთ, თოთქოს ყველასათვის მოხალებია. თხოვლითხმა ძლიერ
ძრავებისას — 50000 მ. უმაღლეს განათლებისათვის, და გარეუკარევ-
ლი იქნება, რომ ამ შემთხვევაში კაცმა რაიმე საწინააღმდეგო სოფეს
ამ კანონპროექტის შესახებ. მაგრამ თუ ასები ფაზ, ჩენ დავაკარიდე-
ბით თუ რაზი საქმე, დამეთანხმებით, რომ სრულიად მოსაზრებულია
წინააღმდეგობაამ კანონპროექტის მიღებისა.

საქმე იმაში, რომ ეხლა რამდენიმე წუ ის წინად თქვენ მოისმი-
ნეთ კომისიის წარმომადგენელის განკადები. მომხსენებელმა ბრძანა:
დადგა მომენტი, როდესაც მთავრობამ დიდი კურსადლება უნდა მიაქ-
ციოს სახალხო განაცლებას, მე მეტს ვატუა, ის საბუთი, ის მოსაზ-
რება, რომ პირველ დაწყებითი სისწავლებელია რიცხვი ფრიად ჩაკრე-
ბია — ეს ყოველ თვის უფრო ნაყოფიერ ნიადაგს წარმომადგენს ყოველ-
კვარა პრივატუალურობის და ათას გვარ სიბრძლესთვის. აიღეთ თუ გნე-
ბავთ დუშეთის მაზრა, თიანეთის მაზრა: როდესაც გაიცნობთ თუ რომ-
დენი სკოლა არს სუმშეთის და თიანეთის მაზრებში, პირტაპირ გათ-
ცებაში მოდიხართ. ხანდახან ასეთ სურათს წაწყდებით. არის პატარა
სკოლა, ესე იგი არ კლისინი სკოლა, „Tioneteskoe ძიუქა ასახ-
ულისაც.“ გარი, რო სკოლა არის მთელ მაზრაში, და ის დროს,
როდესაც ამ გვარად არის დაქმაყოფილებული სულიერი მოახოვნილე-
ბა, და როცა სახალხო სკოლის საქმე ამ მდგრამარეობაში არის, ჩენ
გვაქს ლაპარაკი, იმაზე, რომ ფული მივცეთ ისეთ დაწესებულებას,
რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სახელმწიფო ან, რომელიც
კერძო სასწავლებელი არის და არ ემსახურება ჩენი ხალხის განათლე-
ბას, და ემსახურება სულ სხვას, მე გონი იქნება ლიცი დანაშაული
ჩენ ხალხის და თხელმწიფოს წინაშე.

ამას რომ თავი დავინებოთ, თქვენ წარმოიდგინეთ ის პირობები,
რომელშია იმყოფება საშოთო სასწავლო მომადგრადობა.

გადიდებული არის სამას მანეთმდე. შეიძლება ეს 50,000 გრძელი, მცდელობრივი გადატრანსფორმირების ქამაგირებათ დაგვერიგებინა. მასწავლებლების მიერ ჯამაგირი არ მიგვიყა. ამ პირობებში, რომ 50,000 მანეთი მივცემ სხვა დაწესებულებას, მე მონი ეს დიდი დანაშაულობა იქნება ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე. ჩვენ დაგვრჩენია მრავალი კულტურული დაწესებულებანი. რომელსაც მოვლა უნდა. აი, გახლავთ ყოფილი კავკასიის ჰერეუმი, ფიზიკური იმპერიატორია, ბოტანიკური ბაღი და მის თვისაც კერძოვანია, და მე ვიმეორებ, არავითარი უფლება არ გვაქ 50,000 მან. ხალხის ფული მივცემ ასეთ დაწესებულებას, რომელსაც არავითარი მცირეო კავშირი არა აქვს ჩვენ სახელმწიფოსთან, ჩვენ ხაოხთან.

მე კიდევ წარმოიდგნდი ისეთ მდგომარეობას, რომ საქართველოს სახელმწიფოს არ ქონდეს უმაღლესი დაწესებულება, უნივერსიტეტი. ჩვენ გვაქვს უკვე სახელმწიფოს უნივერსიტეტი და ოუ ჩვენ ფული გვაქვს და შევეძლიან 50,000 მანეთის ხარჯი გადაყდოთ დაკა, ეს ფული მოხმარდეს იმ დაწესებულებას, რომელიც დღეს ისეთ დანიშნულებას ასრულდას. მე სიტყვას არ გვაგრძელებ, ჩვენ ბეჭრი დრო არა გვაქვს,. მეონი დამეთანხმებით, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება გადაყდოთ 50,000 მანეთი ისეთ დაწესებულებისათვის, რომელიც არ ემორჩილება სახელმწიფოს, არ არის სახელმწიფოს დაწესებულება, რომელის მიზანი არ ეთანხმება ჩვენს მიზანს. დამეთანხმებით იმაშიაც, რომ ამ 50,000 მანეთის მეონებით ჩვენ შეგვიძლიან ხუთი დაბალი სკოლა მაინც გაფსნათ ჩვენი ხალხისთვის, და ამ რიგად საშუალება მიყცეთ ხალხს პირელი დაწყებითი განათლება მაინც მიიღოს.

რევაზ გაბაშვილი. (დამ. ნაც.დემ.) ბატონები! თქვენ უთუთ
ნახვიდით ქუჩაში, ავლაბარში, ყველა ბაღებში ისეთ მდგრამარეობას,
რომ ყველა ჩვენი ორტისტები, ჩვენი საზოგადო მოღვაწეები და დიან
პარტიებით და იგროვებენ ფულს საქართველოს უნივერსიტეტისათვის.
და იმ დროს, როდესაც ეს, თუ შეიძლაბა ითქვის, სამოწყალოდ გროვ-
დება ფული საქართველოს უნივერსიტეტისათვის, შემთხვევის წინადადება,
თხოვთა, რომ უცხოელ უნივერსიტეტისთვის გადავდოთ 50,000 მანეთი.
რასაკირველია, ვინ იქნება საზოგადო უმცილესი განათლების წიმიათ-
მდევ. მაგრამ, როდესაც ადამიანი თავის საქმეს სამოწყალოდ ახორებს,
და სახელმწიფოს არა აქვს საშუალება თავის საქართო უნივერსიტეტს,
თავის მასწავლებელს სათანადო თანხა მისცეს, იქ ზედმეტია სხვის და-
ხმარებაზე ლაპარაკი. როდესაც თქვენ მიიღოთ კანკო-პროექტი იმავე
მომსხენებლის მიერ მოხსენებული, რომ სახალხო მასწავლებლებს ენო-
შნება 400 მანეთი არა ასეული, რომ ეს საყოფა არის იმითთვის, რა-
მედ იმისთვის, რომ სხვა საშუალება სახელმწიფოს არა აქვს, სწორედ
იმ მომსხენებელმა საჭიროდ უკით ეფუძნა ეს. და იმის იმდენი გამბედა-
ობა კიდევ იქვე, რომ გამოდის, თაოულობს ეს თანხა გადასცენ უ-
ხო დაწესებულებას, სატაც არ იქნება ნაწარმოები ის ბოლოტიკა,
რომელიც საჭიროა საქართველოსთვის. თქვენ მოვახდენებათ, რომ რამდე-
ნიმე დღის წინათ ქალაქ თბილისი თვითმართველობამ დაადგინა, რომ
ქალაქის მასწავლებლებსათვის მართვობის თვის ჯამიგრი, რომელიც
აქვთდის არ მიუკით, მიეცეს ქართული თვეში. აი ასეთი მდგრა-
მარეობა არის ჩვენ სახელმწიფო და ჩვენ კი ამ დროს ვლაპარაკობთ
ზარი ამავ დაკარგი უკანასკნელი, მეტად თანხოვთ სისთაბი, რასაცი-

კელია ზედმეტი. მე მგონი, თუ მაინც და მაინც დიდი გაქირვება აღმა-
ძ სკოლას დღეს, შეიძლება ჩვენ მივცეთ საშვალება, რომ იმან ვა-
მართოს ლატარია, გამართოს საკელმოქმედო წარმოლებების შეგრამ თი-
თონ სახელმწიფოს წესით შეადგომლობის საწელმწიფოს წესით სუბსი-
ლია შეცემის უცხოელ სასწავლებელს, ეს სრულად წარმოლებენ ელი
საქმეა. თქვენ რამდენჯერმე, სწორედ აი, ამავე დაწესებულებაში, სა-
ქართველოს პარლამენტში, მოვახსენეთ რამდენიმე წინადადება, სადაც
აშვარად ნათქვამი იყო, რომ ჩვენ არ შეგვიძლინ ჩვენ მოხელეებს
მივცეთ იმაზე ზედმეტი, რაც საქართველოს ბიუდეჯის შეეფერდა. აი
იმ დროს, როცა ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვეთვის გავაკეთოთ ის, რაც
აუცილებელი საჭიროა, სწორედ იმ დროს ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენ
უნდა მივცეთ სხვის ზედმეტი თანხა. ქართული ანდაზის ამბავი არ მო-
გვივიდეს, რომელიც ამბობს „კუდა ხარი თავისითვის არ იყო და სხვის
ბუქებს უგრებდათ“.

კირილე ნინიძე. (ს. დ.) ჩვენი ფრაქციის სახელით უნდა განვა-
ცხადო შემდეგი. არც ერთ ორატორის, რომელიც გამოიდის და ამბობს—
არ უნდა მივცეთო, ვერ დავთანხმდეთ. ბატონ წერეთელმა განაცხადა:
მაშინ, როდესაც ჩვენ არ გვაქს სახალხო სკოლები, ნება არ გვაქს
მივცეთ დახმარება უმაღლეს სკოლას, რომელიც არ არის სახელმწიფოს
დაწესებულებათ. ჩემის ფიქრით, ეს დიდი შეცდომა არის. რომ სახალ-
ხო სკოლა საკირო არის, ეს თავის თავით ცხადია, ამას ვერავინ უკი-
ყოფს, მაგრამ იმავე დროს ჩვენ ვერ გაუძლევებით სწავლა განათლებას
თუ არ გვექნება საშვალება უმაღლეს განათლების მიღებისა. ეს კითხვა
დაკავშირებულია ერთი მეორეზე. რაც შეეხება სახელმწიფოს დაწესებუ-
ლებას, ჩვენ ვეტიქობთ, რომ სახელმწიფოს დაწესებულება არ ეწოდე-
ბა მარტო იმას, რაიცა არის სახელმწიფოს შტატებში. ყველა ის და-
წესებულება, რომელიც სახელმწიფოს უწევს დახმარებას, ყველა ის
დაწესებულება, რასაც მოაქს სარგებლობა ჩვენი ხალხისთვის,— ყველა
ამას ეწოდება სახელმწიფო დაწესებულება.

მე მგონი რომ ვერც ერთი თქვენგანი ვერ იტყვის საწინამღელე-
ვოს იმისა, რომ გაიზხავნოს ჩვენი ახალგაზღვობა უცხოეთში, გერმა-
ნიაში და საფრანგეთში სასწავლებლად. ამ შემთხვევაში თავისთავად
ცხადია, ჩვენ ვსარგებლობთ იმ დაწესებულებით, რომელიც ჩვენ ვერა-
ნაში არის, და თუ ეს დაწესებულება ჩვენი სახელმწიფოს დაწესებულე-
ბა არ არის, მაგრამ შეიძლება სარგებლობა მოიტანოს, მაშინ ჩვენ ვერ
დაესვამთ ფორმალურად საკითხს, და ვერ ვიტყვოთ — ეს არ არის სახელ-
მწიფო დაწესებულება და წევნ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება.

მე მოვახსენებთ ფაქტებს, ფაქტი შემდეგია, ჩვენ სახელმწიფოში
ქართული უნივერსიტეტი, რომელიც ენდა ფეხზე დგება. ამ უნი-
ვერსიტეტში ყველა კურსები არ არის, არის ერთი თუ მრავალი ნაწილი,
და იმ დაწესებულებას, რომელზედაც თქვენ ბრძანებთ, იმ კერძო უნი-
ვერსიტეტს აქვს ყველა კურსები, და უცხოელების გარდა სწავლობს
ჩვენი ახალგაზღვობაც, რომელიც მარტო რუსულ ენაზე დაწესებულია
განათლებას. ჩვენი უნივერსიტეტი კოჭლობს მეცნიერების მხრივ (ხმა-
ურობა) უკაცრავად! ეს არის საწყინი, მაგრამ ეს მართალია და უნდა
ითქვას (ნამ: „ეს არის დამცირება“) ბატონებთ, მე არავის არ ვამცი-
რებ (შ. ნეცვებიძე: «ბატონი ნინიძე ვერ გადასწუვებს ამ საკითხს. ეს
მისი კუმცეტეცია არ არის“). მაგრამ ვისაც გაუცლია უმაღლესი კურ-

სეგი, კინაც უნდა, მაგბლითად, რაინჭიროს ვათედრა — მისითვეს. არა ე-
კირ შეცნიეროლი სტაცი, მე აჩვენის დამცირობაზე მცნობი გა-
ვაშობ ჩენ უნცველისიტეტს არ ჰყავს შეცნიერები, მაგრამ მე ვისომა,
ორმ ჩენი სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული უნივერსიტეტი,
ფარეტიურად ძალიან მცნობი ძალიან ძალიან ძალიან ძალიან ძალიან. (მასურობა მარჯ-
ვინიან: „აეგზამ“, ზაკნიდნ: „გენერალი“) მე არ ვიც რო-
მელ თვეზანაზე ლაპარაკობენ, მაგრამ კუპაპელი რომ მაიყაონ უნივერ-
სიტეტს არაფრი მიქადებება. ჩენ შატერდული ძალი გართ, რომ
ვეშაპელები შეცვებისთვის უნივერსიტეტში, რადგანაც არ გვავს მომ-
ზადებული (ხმა: ნინიდე) ბატონ ნინიდ არ არის პროფესიონი, მაგრამ
ნინიდ არ უშლის ხელს, რომ სავამ გვაჩველოს რამე. კუპაპელი გვა-
წავლის მარტი კაცი კამოიბა და მისი პარტია გამბობა — რაც უცხო და-
წესებულებაში რატულ ენაზე არის სწავლა ეს მავნებელიათ, თქვენ
ქალების მოკრების ინსტრუმენტი შემოიღეთ და არ ვიცი რა უფრო
ჟანერებით უნდა ჩინოს. (მასურობა) მამობენ ამ უნივერსიტეტს ჩენი
ბალისონის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, და ჩენ ფული არ გვაქვს
ამ დაწესებულებისათვის გადავიდოთ მაგრამ კიახედ ეხე არ არის. მათ-
თალია ჩენ ლარიბინი ვართ, ფული ცატა გვაქვს, მაგრამ შეიძლება
უული სისე გვანაწილოთ, რომ ვყელა ჩენი ხაქირობა დაფინანსოთ.
ჩენი ფრაქციის სახელით ვაკებადებ, რომ ყელა ის დაწესებულება,
რომელშიც ჩენ ახალგაზრდობას შეუძლიათ განათლება მიღლოს ეს
უაღრესი სახელმწიფო დაწესებულებაა და სახელმწიფოსთვის სარგებლო-
ბა მოაქვს. თუ მოუსცეთ ეს ციიტე დახმარება, რომელსაც ვაძლევთ
ამ კერძო უნივერსიტეტს, არის იძულებული იქნება დაიკუროს და მრა-
ვალი ჩენი ახალგაზრდობა, რომელიც იქ დებულების სწავლის, გარეშე
დარჩება. ამიტომ, როდესაც თქვენ უსპობო დახმარებას, იმით თქვენ
აკეთებთ ძალიან მავნებელ საქმეს ხახულმწიფო უნივერსიტეტის. გრძნობა, რომ-
ლითაც თქვენ ხელმძღვანელობთ არ არის ვარგი გრძნობა თქვენ. იუ
გეჯავრებით რუსული ინა, ეს არ გაძლევთ უფლებას, რომ მოუსცოთ
საშუალება, განათლება მიღლოს იმით, რომელთაც არა იქვე შეძლება. მოიგონეთ რომ ამ უნივერსიტეტში უცხოელებებან ქრისტი მარიალი
ჩენი ახალგაზრდობა ხშავლობს. ამას ანგარიში უნდა ვაუწიოთ და წყალ-
თან ერთად ბავშვიც არ ამოაყოლოთ საბაზოლებან.

თქვენ, როდესაც უცხოელების გავდება გინდათ გაუწიეთ ანგირ-
ში იმას თუ რა დაგიშვათ ჩენი მას იხსენდება.

მე ვფიქრობ რომ თქვენი აზრი საერთოდ შემცდომია.

ბატონები, თქვენი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ფიქრობთ
თითქოს ის უნივერსიტეტი ხელს შეუშლის ქართულ უნივერსიტეტს. თქვენ
ამითი მისურმა საშუალებას იმ პირთ, იმ მრავალ უნიკატებს რო-
მელიც ჩენ ში არიან კათედრა დაიკირონ, რაც კონკურენცია არ ეყო-
ლებათ. თქვენ მეცნიერების განვითარებას გზის და საშუალებას მოუსპობთ.

ამ რიგათ უნივერსიტეტში მეცნიერება არ განვითარება. თუკი
მეცნიერები იქნებიან კონკურსს ვარეშე. ეს რახავირველი, შეეფერება
შოგინისტებს, როგორც გაბაზვილს და ვეზაპელს, მაგრამ ისეთ დაგმი-
ანს, რომელიც სამშემლოს მეცნიერებაზე ფიქრობს, ასეთი მოქმედება
არ შეეფერება. ეს არის შოგინისტერი საქმე.

თავმჯდომარე. სტუდ კუუთხის ბარლამენტის წევრს კუმადლის.
გრიგორ ვეზაპელი. (დამ. ნ. დ.) ბატონ ნინიდემ, მცონია პარ-

თამეთ უდის კურტილი წავსხა უანის ან ევლოტი. ეს ან ევლოტი პირველი დროების მინი იყო შეყვანილი, და ჩენ, როგორც აცტოლების შეგვიძლია შევიტანოთ და ვთქვათ, რომ უკურის უარის მდგრადი იყოთ ამის, მაშინ როცა ვინაში უკვე დამპალი რომელი და თქვენა შეასრულოთ ასწავთ, და გინდათ დაბანოთ. ასეთი დამპალი რამ ამის რესული კულტურა, მიერ-კავკასიის კულტურა საქართველოში... (ხმა კრიტიკა).

ის ქალთა კურსები, რომლის თვისაც კანინ-პრიუტი მორიდებით დაუშემცევით კუსკეთ, ფაქტურად მიერ-კავკასიის ტენივერსიტეტი არის. და ალბათ კომისიის გამშედვობა არ ეყო, რომ ითომნ გადაექი-ოვნია სათაური, რომ უმფრო იოლათ და ავლილად გაარაენდნა იმ სკოლაში და პარიბრაზ, რომელიც ეწოდება ნაციონალისმი, სოცია-ლიზმი და დემოკრატიზმი.

მიერ-კავკასიაში დრომ უნივერსიტეტი არის დაასტებული ის ხალხი, მიერ, რომელიც ჯერ კადევ არ გათხეული თბილისირაზ და უცდის სანამ პოლიტიკური კომბინაცია არ შეიცვლება. (მათ: ასა-ზისძრობაა").

ოქენე უმწოდ უარესი სოქია ქართულ უნივერსიტეტის შესა-ხებ. (ხდაურობა), სანამ პოლიტიკური პიროვნები მას არ შეიცვლება, რომ ცნობილი უსაული ლიტერატურის შემწეობით კვლევ არ აღხდევდა წინან-დელი პოლიტიკური კომბინაცია. იქნება ეს მიერ-კავკასია, ან კიდევ სხვა რამე. ამასწინათ კადეტების გახეთში, „ჩეჩიში“, რომელიც ამ პო-ლოს დროს უნდა იყოს მიწი ეული კველანე უმფრო ავ-ორიტეტულ თრგანიდ, რამდენად კველას გვარეურესებს რესულ ინტელიგენციის პო-ლოტია. არა იმ ინტელიგენციის, რომელიც შეტან მეტად მემარცხენება. რომელიც ესერების ლაგერში დარჩენ და რომელთაც აწი არავითარი პერ-სპეციალი ამ აქვთ რესეტში, არამედ ისინი, ისისაც მეტი პერსპექტივა და მეტი გავლენა აქვთ ჩენ მეტობელ სახელმწიფოში. და მიტომ მეტი პერსპექტივა აქვთ ჩენს საქმეებში ჩარცესითვის, აი, ამ გახეთში ისატრიბუნის ფელეტო-ნი იყო მოთავსებული და ის სწერდა, რომ პირდაპირ ერთად ერთი მი-ზარი, ერთად ერთი საქმე სომხეთის პოლიტიკისა დღეს არის ამჟამ კავკასიის რესპუბლიკის აღდგენა. არავითარი იდეალი სხვა, სომხეთ პოლიტიკას არ უნდა ჰქონდეს რატომ? იმიტომ, ბარონები, რომ წინა-აღმდეგ შემთხვევაში მარტო სომხები როლუმებიან. იმავე დროს ის სწერდა, რომ ქართველები ამის წინააღმდეგ არიან, და ამიტომ რე-სეპა ამაში უნდა დაეხმარონ სომხები აი, ამ კომბინაციაში, და რაც უფრო, კველანე უფრო გასაკეირველი არის, იქ ნათქვამი, იყო რომ ამა ამაში, ამ სტეპეში, — მიერ-კავკასიის ჩესპუბლიკის აღდგენაში სომხების საკუთოლდღირო დღი როლი უნდა ითამაშოს გერმანიამ, რომელსაც მხ-ლოდ შესწევს ძალა, რომ იძულოს საქართველო მიიღოს ამიერ-კავკასიაში ეს პოლიტიკა. ის ასეთი რესეტის ნაწილი გერმანიაშე იმედებს ამერიკებს, რომ ის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის აღდგენს. ამით, რასაკეირველია მოიგებს მხოლოდ ის ერთ, რომელსაც არც ერთ ელე-მატერი სახელმწიფოებრივი არსებობისა არ ჰქონია. რატომ? რომეტომ რომ, როცა მან ის ჩილო, მან ეს უარყო, და ეტანებს ხმალობიდ სხვა კომბინაციას. ჩენ ამის წინააღმდეგი ვართ. ჩენ გმიტომ ვი მას ვართ წინააღმდეგი ისეთი დაწესებულებისა, როგორც ჩენ მოვიგონეთ, რომ ისინი აშენებენ ამაგრებენ და უყრიან სამირკველოს ხელახლად ამიერ-

კავკასიის რესპუბლიკას, მიტომ კი არა, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ ამიერ-კავკასიის ისტორიული მცვიდრ ერების თავისუფალ კაშაშისა, არამედ, იმიტომ რომ ეს კომბინაცია გამხდარა კომბინაციათ შეთოლოდ ერთი არა მცვიდრ ჩვენ ისტორიულ ტერიტორიის და კავკასიის ტერიტორიის ხალხის, რომელსაც თითონაც ვერ შესწევს ძალა, რომ ის კომბინაცია თითონ გამოიყენოს და ერთად ერთ იმედს ამიერებს რუსულ კულტურაზე. ჩვენ იმიტომ ვართ წინააღმდეგნი, რომ ყოველი ამიერ-კავკასიის დაწესებულება, რომელიც ამიერ-კავკასიაში ნიშავს რუსულს, იმიტომ რომ სახელმწიფოებრ-ვინ ენა ყველა იმ ამიერ-კავკასიის ხასიათის დაწესებულებაში nolens-volens — არის რუსული და ეს კი ნიშავს ჩვენი ერის დალუკას. იმიტომ, რომ ეს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი, რომელიც არის ერთად ერთი კულტურ-ელემენტთაგანი, შეიძლება არა მარტო კულტულურ დაწესებულოდ იყოს, არამედ შეიძლება იყოს პოლიტიკურ და ეკონომიკურადაც, რადგანაც კარგად იციან გამოყენება ისეთი კულტულურ დაწესებულებისა საქართველოს მტრებმა.

ეს კულტულური ცენტრი აწარმოებს, და თავის შემადგენლობით არის მინისტრიურა ჩვენთვის მიუღებელ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას ელემენტებისა, რომელშიაც, ყოველ შემთხვევაში, თავის უფლებით, თავის კულტურით და თავის პოლიტიკით ქართული ენა არ იქნება, და თუ ენიშვი გინება გინებას, ხოლო ის, ენისაც არაეითარი იმედი არ იქნება, გარდა საქველმოქმედო ცხოველებისა, და იმათ, ვისაც კადევ უნდა დაბრუნება კავკასიაში იმ საქველმოქმედო ხალხის ინიციატივისა.

ბ. ნინიძე ბრძანებს, რომ სახელმწიფო მარტო იმას კი არ აწოდება, რასაც ფირმა იქნება სახელმწიფოს, არამედ ბეჭრი რამე, რაც კერძო არის, მაგრამ, მთხვედავიდ იმია საქიტოებს სახელმწიფოს დამარტინა. თუ ესე მსჯელობს ბ. ნინიძე მაშინ შეიძლება მან მხარი დაუკირის ისეთ კანონ-პროექტებს, რომელიც მისცემს სუბსიდიას იმ შემორ კულტურულ, დაიც კულტურულ დაწესებულებას, — რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის შემდევ დაარსა რუსული ეროვნულ საბჭო კარგათ მოახდენა მან — კავკასიის უნივერსიტეტი განაცხადითა ქალთა კურსებათ, აუარებელი პროგრამაზები და რუსული გიმნაზიები, რომელიც დაარიგა ჩვენ განათლების მინისტრის ნებართვით თბილისში, და მეორე, — ის რომ დაარსა ისეთი დიდი კულტულური დაწესებულება, სახელმწიფო დაწესებულება, როგორიც არის სამრეცხო, რუსული დრაკეშანა.

შეიძლება ამას დაეხმაროს ბ. ნინიძე, როგორც დეზინფექციის და გეგინის მოყვარე კაცი. და როგორც სახელმწიფო დაწესებულებას დახმარება აღმოუჩინოს. ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენ ისეთი ბევრი ფული გაქნება და თანაბენან ხართ რუსულ კულტურის საქმეს გაუძლოთ ფინანსებით, შეიძლება იმ 30 მილიონ მანეთიდან უბოძოთ, რომელიც თქვენ საბჭოში არის შენახული. (გაბაშვილი: რუსული ფული უფრო მოუხდებათ).

თავმჯდომარე: პარლამენტის წევრი რექსილაძე.

